

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში („საკანონმდებლო მაცნე“, №15, 17.09.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14<sup>1</sup> მუხლი.**

„მუხლი 14<sup>1</sup>. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება

უმაღლესი საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, შეიძლება მიეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება.“.

**2. მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს წელიწადში 30 კალენდარული დღის შვებულებით, რაც მისი სურვილის თანახმად, მიეცემა ზაფხულის ან ზამთრის არდადეგების დროს, მთლიანად ან ორ ნაწილად გაყოფით.“.

**3. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4<sup>1</sup> პუნქტი.**

„4<sup>1</sup>. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება არაუმეტეს 3 თვისა. აღნიშნულ შემთხვევაში შვებულების თაობაზე უმაღლესი საბჭოს წევრის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შვებულების პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრს არ მიეცემა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება.“.

**4. 23-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,  
2006 წლის  
№

### განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის  
სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი დამატება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში გამოწვეულია 2005 წლის 25 ნოემბერს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატებით, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მიერ უფლებამოსილ პირებს ეძლევათ უფლება სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

მოცემული დამატებით უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება ეძლევა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

კანონში ასევე ცვლილება შედის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში, სადაც უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს წელიწადში 45 კალენდარული დღის შვებულებით, რომელიც მცირდება 30 დღემდე გამომდინარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს შესული ცვლილებით.

პროექტით ასევე წარმოდგენილია დამატება, სადაც უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება არაუმეტეს 3 თვისა და ამასთან ერთად შვებულების პერიოდში მას უნარჩუნდება ხელფასისა და არ მიეცემა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება.

კანონპროექტი არ გამოიწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.